პრაქტიკული მითითება №11

გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, სახელმძღვანელო

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყისი შეფასება, მონიტორინგი, საბოლოო შეფასება და გენდერი

შინაარსი

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყისი შეფასებისთვის, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასებისთვის?

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყის შეფასებაში, მონიტორინგსა და საბოლოო შეფასებაში?

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

დამატებითი ინფორმაცია

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გენდერული საკითხების ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის შეგრძნების და ლეგიტიმურობისთვის.

წინამდებარე პრაქტიკულ მითითებაში მოცემულია მოკლე შესავალი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყისი შეფასების, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასების საკითხებში გენდერის ინტეგრაციის სარგებლის თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უფრო მოცულობით „ინსტრუმენტს" ეფუძნება და ორივე მათგანი ***გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს*** ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ გენდერის საკითხების შესახებ ერთგვარი შესავალი გაკეთდეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მონაწილე პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისთვის, სახელმძღვანელო 12 ინსტრუმენტისგან შედგება, რომელთაგან თითოს პრაქტიკული შენიშვნა ახლავს თან – *იხილეთ დამატებითი ინფორმაცია.*

რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყისი შეფასების, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასებისთვის?

შეფასება მონაცემთა შეგროვების სისტემატური პროცესია, რომლის მიზანია მოცემული მდგომარეობის ასახვა. ეს პროცესი კონტექსტს აანალიზებს – სხვადასხვა ფაქტორების, მონაწილე მხარეების, რისკების და საჭიროებების ჩათვლით – რათა განისაზღვროს პროგრამის ამოცანები და შეიქმნას ბაზა სამომავლო მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

მონიტორინგი „უწყვეტი ფუნქციაა, რომლის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, მენეჯერებს და მთავარ დაკავშირებულ მხარეებს მიაწოდოს რეგულარული უკუპასუხი და პროგრესის ან დანაკლისის ადრეული ინდიკატორები გამიზნული შედეგების მიღწევის პროცესში. მონიტორინგი ასახავს ფაქტობრივ შესრულებას ან სიტუაციას იმის მიმართ, რაც დაგეგმილი ან მოსალოდნელი იყო წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. მონიტორინგი, ზოგადად, მონაცემების შეგროვებას და ანალიზს მოიცავს განხორციელების პროცესის, სტრატეგიების და შედეგების შესახებ, ასევე იძლევა რეკომენდაციას გამოსასწორებელი ზომების შესახებ.[1]

საბოლოო შეფასება „მიმდინარე ან დასრულებული პროექტის, პროგრამის ან პოლიტიკის, მისი დიზაინის, განხორციელების და შედეგების სისტემატური და

---

[1] UNDP, *სახელმძღვანელო შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისთვის*, შეფასების ოფისი, (გაერო: ნიუ იურკი), 2002წ.
http://stone.undp.org/undpweb/eo/evalnet/docstore3/yellowbook/glossary/glossary_m_o.htm

ობიექტური შეფასებაა. მისი მიზანია განსაზღვროს ამოცანების შესაბამისობა და შესრულება, განვითარების ეფექტიანობა, ეფექტურობა, მდგრადობის ზეგავლენა. შეფასებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას ინფორმაცია, რომელიც დამაჯერებელი და სასარგებლოა, რაც შესაძლებლობას ქმნის მიღებული გამოცდილების ჩადებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში როგორც მიმღებებისთვის, ასევე დონორებისთვის. შეფასება ასევე ეხება იმ პროცესს, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად ღირს ქმედების, პოლიტიკის ან პროგრამის განხორციელება“[2].

გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. „გენდერი“ შესაბამისად ნიშნავს *გაცნობიერებულ* განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა „სქესი“ *ბიოლოგიურ* განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის. გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გენდერი ეხება არა მხოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

უსაფრთხოების და მართლმსაჯულების უზრუნველყოფის გაძლიერება

- ქალებს, მამაკაცებს, ვაჟებსა და გოგონებს უსაფრთხოების და სამართლიანობის სხვადასხვა საჭიროებები, პრიორიტეტები და შესაძლებლობები გააჩნიათ. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყისი შეფასების, ასევე მონიტორინგის და საბოლოო შეფასების პროცესები, რომლებიც გენდერის მიმართ რეაგირებით ხასიათდება, უფრო ზუსტ ინფორმაციას უზრუნველყოფს. აღნიშნული ინფორმაციის მეშვეობით რეფორმის პროცესები იმგვარად იქნება დაგეგმილი და განხორციელებული, რომ უკეთ მოემსახუროს მამაკაცების, ქალების, გოგონებისა და ვაჟების კონკრეტულ საჭიროებებს.
- გენდერზე რეაგირების უზრუნველმყოფ შეფასებას, ასევე მონიტორინგსა და საბოლოო შეფასებას შეუძლია გენდერული ძალადობის პრევენციის, ასევე მასზე რეაგირების გაძლიერება, როგორიცაა ოჯახური ძალადობა, ადამიანთა ტრეფიქინგი და ჯგუფური დანაშაული.

ინკლუზიური და მონაწილეობრივი უსაფრთხოების სექტორის რეფორმა

- მარგინალიზებული ჯგუფების, როგორიცაა ქალები, ეთნიკური უმცირესობები და ადგილობრივი მოსახლეობა, ჩართვა საწყისი შეფასების, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასების პროცესებში, რომლებიც მოქალაქეების ნდობას გაამყარებს და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ მესაკუთრეობას განამტკიცებს.
- მარგინალიზებული ჯგუფების უფრო მეტად მონაწილეობა ასევე გააუმჯობესებს მოპოვებული მონაცემების სიზუსტეს და მთლიანობას.

[2] DAC სამუშაო მხარე დახმარებისა და ევაკუაციისთვის, გვ.21-22

ჩანართი 1

შეკითხვები, რაც უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შეფასებისას უნდა დაისვას

ქვეყნის კონტექსტის ზოგადი ანალიზის გარდა, საწყისი შეფასების მიზანი უნდა იყოს შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემა:

1. რა არის უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებების არსებული მმართველობა და პოტენციალი? რა არის ძირითადი ნაკლოვანებები? რა რეფორმები უნდა იყოს პრიორიტეტული?

გენდერთან დაკავშირებული შეკითხვები: რა არის ქალი და მამაკაცი თანამშრომლების პროპორცია და რა თანამდებობები უჭირავთ მათ, შესაბამისად? ხდება თუ არა გენდერული ძალადობის ეფექტურად თავიდან აცილება, მასზე რეაგირება და სანქციების დაწესება? ხომ არ ხდება ადამიანის უფლებების დარღვევა, გენდერული ძალადობის ჩათვლით, რასაც უსაფრთხოების სექტორის პერსონალი სჩადის? თანამშრომლობს თუ არა უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ქალთა ორგანიზაციების ჩათვლით?

2. როგორია უსაფრთხოების და მართლმსაჯულების განსხვავებული საჭიროებები, აღქმები და პრიორიტეტები მამაკაცების, ქალების, გოგონების და ვაჟების, ასევე საზოგადოების მხრიდან?

გენდერთან დაკავშირებული შეკითხვები: როგორია გენდერული ძალადობის ტიპები და სიხშირის მაჩვენებელი, მამაკაცების და ვაჟების ჩათვლით? თანაბრად მიუწვდებათ თუ არა მამაკაცებს, ქალებს, გოგონებსა და ვაჟებს ხელი უსაფრთხოების და მართლმსაჯულების დაწესებულებებზე/მექანიზმებზე? რა სახის რეფორმებს ანიჭებენ უპირატესობას მამაკაცები და ქალები? რომელი ადგილობრივი არასამთავრობო სტრატეგიები/ინიციატივები არსებობს უსაფრთხოების და მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად?

ადამიანის უფლებების მხარდამჭერი და რეაგირების უზრუნველმყოფი უსაფრთხოების ინსტიტუციების ჩამოყალიბება

- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასების, მონიტორინგის და საბოლოო შეფასების დროს გენდერისადმი სენსიტიური შეკითხვების ჩართვით, რომლებიც სექსუალურ შევიწროებას, დისკრიმინაციას და ადამიანის უფლებების დარღვევას ეხება, შეიძლება ამგვარი უარყოფითი პრაქტიკები გამოვლინდეს და ხაზი გაესვას აუცილებელ რეფორმებს.
- გენდერის მიმართ რეაგირების უზრუნველმყოფი საწყისი შეფასებით, მონიტორინგითა და საბოლოო შეფასებით შესაძლებელია მონაცემების შეგროვება უსაფრთხოების სექტორში ქალი და მამაკაცი თანამშრომლების რაოდენობის და თანამდებობის შესახებ, ასევე მოძიებულ იქნას ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიზარდოს ქალების და სხვა, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების

დასაქმება და შენარჩუნება. უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებები, რომლებიც იმ მოსახლეობას ასახავენ, ვისაც მომსახურება უნდა მიაწოდონ, თავიანთ ლეგიტიმურობას და საოპერაციო ეფექტურობას ზრდიან.

შესაბამისობა საერთაშორისო კანონებით და ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყისი შეფასების, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასების პროცესებში გენდერის საკითხების ინტეგრირების ინიციატივის აღება არა მხოლოდ ოპერაციული ეფექტურობის საკითხია, არამედ ეს ასევე აუცილებელია იმისთვის, რომ შესაბამისობა მოხდეს საერთაშორისო და რეგიონულ კანონებთან, ინსტრუმენტებსა და ნორმებთან, რაც უსაფრთხოებას და გენდერს უკავშირდება. მთავარ ინსტრუმენტებში შედის:

- *პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (1995)*
- *გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება 1325, „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ (2000)*

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი „საერთაშორისო და რეგიონული კანონები და ინსტრუმენტები“.

ჩანართი 2

გაერთიანებული სამეფო, DFID: გენდერის ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შეფასებაში[3]

2007 წელს გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა (DFID), საგარეო და თანამეგობრობის ოფისსა და თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ოთხი ექსპერტი მოიწვია, რათა DFID-ის მიერ აფრიკაში უსაფრთხოების და მართლმსაჯულების რეფორმის პროგრამის დამოუკიდებელი შეფასება გაემართათ. შეფასებაში შედიოდა გენდერის და აივ/შიდსის ძირითად მიმართულებად დანერგვის გადასინჯვა უსაფრთხოების და მართლმსაჯულების რეფორმის პროგრამირებაში – რამდენადაც ისინი DFID-ის ორმხრივი პროგრამების მთავარ თემებს წარმოადგენდა. შეფასებით გამოვლინდა, რომ გენდერის და აივ/შიდსის საკითხები საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი უსაფრთხოების, უშიშროების და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის პროგრამებში, მაგრამ არ არის მოცემული იმ პროგრამებში, რომლებიც თავდაცვასა და პოლიციას ეხება, ან იმათთან, როგორიცაა სიერა ლეონეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროგრამა. შეფასების შედეგად

[3] ბოლი, ნ. და სხვ. *უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის პროგრამირება აფრიკაში,* შეფასების სამუშაო დოკუმენტი 23, (DFID: ლონდონი), აპრილი, 2007წ.

https://www.oecd.org/dataoecd/42/1/38635081.pdf

მომზადებულ რეკომენდაციებში იყო:

რეკომენდაცია №5: ვიძლევით რეკომენდაციას, რომ „დახმარების ეფექტურობაზე პარიზის დეკლარაციის“ თემა საჯარო ფინანსური მართვის და უაიტჰოლის ძირითადი თემების შესახებ აივ/შიდსთან, ასევე გენდერთან დაკავშირებით, ინკორპორირებული უნდა იქნას უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სექტორის ყველა რეფორმის (SSAJ) ინტერვენციაში და არა მხოლოდ მათთან, ვინც უშუალოდ SSAJ-ის საკითხებზე მუშაობს [უსაფრთხოება, უშიშროება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა].

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყის შეფასებაში, მონიტორინგსა და საბოლოო შეფასებაში?

!!მითითებები გენდერზე, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყისი შეფასების, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასებისთვის.

- გენდერის შესახებ ინფორმირებული გუნდის ჩამოყალიბება, რომლის წევრებიც გენდერის საკითხებში გამოცდილების მქონე ქალები და მამაკაცები იქნებიან. დაიქირავეთ ქალი და მამაკაცი თარჯიმნები, თუ შესაძლებელია.
- გამართეთ ტრენინგი გენდერზე, ან მოაწყვეთ ბრიფინგი პერსონალისთვის.
- ითანამშრომლეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ქალთა ორგანიზაციების ჩათვლით.
- მოაგროვეთ ინფორმაცია სხვადასხვა წოდების/თანამდებობის მამაკაცებისა და ქალებისგან.
- მოახდინეთ მონაცემების დახარისხება სქესის და ასაკის მიხედვით.
- დაადგინეთ გენდერზე რეაგირების მომხდენი ინდიკატორები.
- მოაგროვეთ თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები, გამოიყენეთ ინსტრუმენტები, როგორიცაა შინამეურნეობების კვლევა და ფოკუსური ჯგუფების ინტერვიუები.
- გამოიყენეთ კონკრეტული კვლევითი მეთოდოლოგიები გენდერული ძალადობის შესახებ ინფორმაციის მოძიებისთვის.
- შეაგროვეთ მონაცემები გენდერულ საკითხებზე, როგორიცაა მამაკაცი და ქალი თანამშრომლების აყვანა და შენარჩუნება; სექსუალური შევიწროების მაჩვენებლები; ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო კანონების და ინსტრუმენტების განხორციელება, რაც გენდერსა და უსაფრთხოებას უკავშირდება; გენდერული ძალადობის და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევები.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყისი შეფასება

- შეფასების სტრატეგიის სისტემატიზება და ჩართვა გენდერის განზომილებაში ყველა ეტაპზე – დაგეგმვა, დაპროექტება, მონაცემთა შეგროვება და შედეგების განხილვა

- ერთობლივი შეფასებების გამართვის პრიორიტეტად დასახვა, რაც თანამშრომლობას და კოორდინაციას მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო დაკავშირებულ მხარეებთან.
- გენდერთან დაკავშირებული შეფასებითი შეკითხვების დასმა (იხილეთ ჩანართი №1)

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მონიტორინგი და შეფასება

- გეგმა და ბიუჯეტი გენდერზე რეაგირების მომხდენი მონიტორინგის და შეფასებისთვის, როგორც უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ძირითადი ნაწილი.
- სხვადასხვა ზეგავლენის მონიტორინგი და შეფასება, რაც უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებმა მოახდინეს მამაკაცებზე, ქალებზე, ვაჟებსა და გოგონებზე.
- მონიტორინგის პროცესი რაც შეიძლება ინკლუზიური და მონაწილეობითი გახადეთ, მაგ. უწყებათაშორისი ან დეპარტამენტთაშორისი სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებით, სადაც იქნებიან წარმომადგენლები ოჯახებიდან, განვითარების სამინისტროებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან.
- საერთაშორისო და რეგიონული გენდერული მონიტორინგის მექანიზმების გათვალისწინება, როგორიცაა ანგარიშგება, რაც უნდა ეხმიანებოდეს *კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ* (CEDAW).
- თან დაურთეთ გენდერის ინდიკატორები (იხილეთ ჩანართი №3).

ჩანართი 3	**მართლმსაჯულების რეფორმის და გენდერის ინდიკატორების მაგალითები[4]**		
მართლმსაჯულების რეფორმის სფერო	**გენდერული თანასწორობის შედეგების მაგალითები**	**გენდერის მიმართ სენსიტიური ინდიკატორების მაგალითები**	**მონაცემთა შეგროვების მეთოდები**
ძალადობა გენდერულ ნიადაგზე	კანონმდებლობის და ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელება გენდერული	- არსებობს და ხორციელდება პროცედურები გენდერულ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლთა კომპენსაციისთვის, რაშიც	- საბაზისო შეფასება და პროტოკოლების განხილვა - კვლევები და

[4] ჰანტი, ჯ. „გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სამუშაო შეხვედრა“, (DCAF, OSCE/ODIHR და UN-INSTRAW: ჟენევა), 16-19 აგვისტო 2007წ.

	ძალადობის აღმოსაფხვრელად	შედის შეიარაღებული კონფლიქტი, კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქცია და უსაფრთხოების სექტორის პერსონალის მიერ ჩადენილი ძალადობა - უსაფრთხოების სექტორის პერსონალის წინააღმდეგ გენდერული ძალადობის გამო აღძრული საქმეების რაოდენობა - შესაბამისი სასჯელის მისჯის მაჩვენებლის გაზრდა გენდერული ძალადობის გამო, ძალადობის ტიპის და მოძალადესთან კავშირის მიხედვით	ინტერვიუები ქალთა ორგანიზაციებსა და სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან - სასამართლო სტატისტიკა - გაზეთების მიმოხილვა - მონაცემები ქალთა ორგანიზაციებიდან
ინსტიტუციური რეფორმა	მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა მამაკაცებისა და ქალებისთვის	იმ ქალების და მამაკაცების პროცენტული რაოდენობა, ვინც აცხადებს, რომ მათ ხელი მიუწვდებათ ფორმალურ იურიდიულ სისტემაზე დავების გადასაჭრელად - პოლიციის განყოფილებების რაოდენობა სოფლის ღარიბ ტერიტორიებზე, სადაც არსებობს რესურსები და დაკომპლექტებულია როგორც ქალებით, ასევე მამაკაცებით - სასამართლოში საქმეების რაოდენობა ქალთა უფლებებთან დაკავშირებით, იმ საქმეებთან შედარებით, რაც მამაკაცების უფლებებს ეხება - საოპერაციო პროცედურები და მტკიცებულების წესები გენდერის მიმართ სენსიტიურია	- საბაზისო და შემდგომი კვლევები - პოლიციის ორგანიზაციული და ადმიანური რესურსების ჩანაწერების განხილვა - დაკვირვება - სასამართლო სტატისტიკა - სასამართლო პროცედურების საბაზისო და შემდგომი განხილვა

გენდერის აუდიტი უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში

- აუცილებელი წინაპირობების შექმნა, როგორიცაა პოლიტიკური ნება და ტექნიკური პოტენციალი
- უზრუნველყოფა, რომ გენდერის აუდიტორი დამოუკიდებელია, ასევე კარგად ესმის უსაფრთხოების სექტორის დაწესებულების შიდა პროცედურები – მაგ. აუდიტის გუნდი, რომელიც შედგება გენდერის აუდიტის გარე კონსულტანტისა და შიდა შეფასების ექსპერტისგან.
- შეკითხვები, რომლებიც გენდერის აუდიტის ნაწილს წარმოადგენს, არის:[5]

  ორგანიზაციაში:

  - მამაკაცები და ქალები თანაბრად არიან წარმოდგენილნი ორგანიზაციის ყველა დონეზე?
  - არის თუ არა ადამიანური რესურსების პოლიტიკები და პრაქტიკები, რომელიც მხარს უჭერს ქალების დაქირავებას, შენარჩუნებას და წინსვლას?
  - არის თუ არა პოლიტიკები და მექანიზმები სექსუალური შევიწროების, დისკრიმინაციის და ძალადობის თავიდან აცილების და ამ საკითხის მოგვარებისთვის?
  - არის თუ არა ტექნიკური შესაძლებლობა გენდერისადმი სპეციფიკურ საკითხებზე სამუშაოდ?
  - ხდება თუ არა საბაზისო ტრენინგი მთლიანი პერსონალისთვის?
  - არის თუ არა ძირითად მიმართულებად დანერგილი გენდერული საკითხები თავის პოლიტიკებში, პროგრამებსა და ინიციატივებში?
  - ხდება თუ არა ადექვატური დაფინანსების გამოყოფა გენდერისადმი სპეფიციკური ინიციატივებისთვის?

უსაფრთხოების სექტორში გენდერის მთავარ მიმართულებად დანერგვის ინიციატივების მონიტორინგი და საბოლოო შეფასება

- გენდერის ძირითად მიმართულებად დანერგვის ინიციატივების ერთიანი მონიტორინგის და საბოლოო შეფასების პრიორიტიზება უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტებში, მათი ზეგავლენის გაზომვისთვის.
- ინსტიტუციური და პროგრამისადმი სპეციფიკური რაოდენობრივი და თვისებრივი, გენდერის მიმართ სენსიტიური ინდიკატორების შემუშავება (იხილეთ ჩანართი №4).
- თუ აუცილებელია, შემდგომი საქმიანობების განხორციელება, როგორიცაა სამუშაო შეხვედრები, ჯგუფური დისკუსიები და

[5] ვალასეკი, კ. - „გენდერი და დემოკრატიული უსაფრთხოების მმართველობა“, *უსაფრთხოების სექტორზე საზოგადოებრივი ზედამხედველობა: სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის დემოკრატიული უსაფრთხოების მმართველობისთვის,* eds. კაპარინი, კოული და კინზელბახი, (Renesans: ბრატისლავა), გამოქვეყნდება 2008 წლის ივლისში.

სტრატეგიული დაგეგმვის შეხვედრები, რათა თავიდან მოხდეს გენდერის ძირითად მიმართულებად დანერგვის ინიციატივების შეჯერება

მე-11 ინსტრუმენტში ასევე მოცემულია...

- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შეფასებისთვის მონაცემთა შეგროვების მეთოდები
- გენდერის ინტეგრირება კლინგენდაელის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შეფასების ჩარჩოში
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მონიტორინგის და საბოლოო შეფასების მთავარი განმახორციელებლების ჩამონათვალი
- ცხრილი, სადაც მოცემულია შედეგებზე დაფუძნებული მენეჯმენტის მიდგომა გენდერისადმი რეაგირების განმახორციელებელი, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის
- გენდერის აუდიტის მეთოდები

ჩანართი №4

გენდერის ძირითად მიმართულებად დანერვის მონიტორინგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

1997 წლიდან გენერალური მდივნის ასისტენტს და გენდერის და ქალთა დაწინაურების საკითხებში გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ მრჩეველს დაევალათ გენდერის ძირითად მიმართულებად დანერგვის მანდატების განხორციელების ზედამხედველობა და მხარდაჭერა გაეროში. გენდერის სათათბირო განყოფილებები, გენდერის საკონტაქტო პირები და ანგარიშგების მექანიზმები წარმოადგენს ინსტურმენტებს, რომლებიც გაეროში გამოიყენება. ამას გარდა, გაეროს უწყებათაშორისმა ქსელმა ქალთა და გენდერულ თანასწორობაზე მოამზადა სამუშაოს დახასიათება, თუ როგორ უნდა მომხდარიყო გენდერის პერსპექტივის ჩართვა გაეროს სისტემაში ანგარიშგების, მონიტორინგის და შეფასების ყველა მექანიზმში.[6]

ჩანართი №5

უსაფრთხოების შეფასებები, რომლებიც ფოკუსირებას ახდენენ სექსუალურ ძალადობაზე ჰუმანიტარულ გარემოში

მოსაძიებელ ინფორმაციაში შედის:[7]

---

[6] გაეროს უწყებათაშორისი ქსელი ქალთა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, „გენდერის ძირითად მიმართულებად დანერვვა შეფასებაში, მონიტორინგსა და პროგრამულ ანგარიშგებაში (IANWGE/2005/12 მეოთხე სესია)“ (ნიუ იორკი: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), 22-25 თებერვალი, 2005წ

[7] „გაიდლაინები გენდერის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობისთვის – ინტერვენციები ჰუმანიტარულ გარემოში, რომელიც საგანგებო მდგომარეობებში სექსუალური ძალადობის პრევენციასა და

- დემოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც განცალკევებულია ასაკის და სქესის მიხედვით.

- მოსახლეობის მოძრაობის აღწერა (სექსუალური ძალადობის რისკის გაგებისთვის)

- გარემოს, არსებული ორგანიზაციების, მიწოდებული მომსახურების ტიპების და მიმდინარე საქმიანობების აღწერა

- სექსუალური ძალადობის მიმოხილვა (რისკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობა, ნებისმიერი ხელმისაწვდომი მონაცემები სექსუალური ძალადობის ინციდენტების შესახებ)

- ეროვნული უშიშროების და სამართლებრივი უწყებები (კანონები, სამართლებრივი განმარტებები, პოლიციის პროცედურები, სასამართლო პროცედურები, სამოქალაქო პროცედურები)

- საზოგადოებრივი სისტემები ტრადიციული მართლმსაჯულების ან ჩვეულებითი სამართლისთვის

- არსებული მულტისექტორული პრევენციული და რეაგირების ქმედება (კოორდინაციის, გადამისამართების მექანიზმები, ფსიქოსოციალური, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების/პოლიციის, დაცვის/სამართლებრივი მართლმსაჯულების).

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყისი შეფასება, მონიტორინგი და საბოლოო შეფასება გამოწვევებთანაა დაკავშირებული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტის შემდგომ კონტექსტებში.

გენდერის საკითხების ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

- ჩანაწერების წარმოება და მონაცემთა შეგროვება, რომლებიც რუტინულად არსებობს მშვიდობიან დროს, შეიძლება შეფერხდეს შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში. ეს შეიძლება ასევე შეეხოს საავადმყოფოში არსებულ და სისხლის სამართლის ჩანაწერებსა თუ სხვა მონაცემებს, რომლებიც პოლიციაში ან სამთავრობო სამინისტროებში ინახება. საჯარო დაწესებულებების შეცვლა ან დაშლა ხშირად ართულებს სრული და წარმომადგნელობითი მონაცემების მოპოვებას და შეფასებას.
- დროის და ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო შეიძლება ვერ მოხერხდეს სრული საწყისი შეფასების, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასების გამართვა. თუმცა, მონაცემების შეგროვება, ასევე პროგრამების და პროექტების მონიტორინგი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მათი წარმატებისა და კოორდინაციისთვის.

შესაძლებლობები გენდერული საკითხების ინტეგრაციისთვის

რეაგირებაზეა ფოკუსირებული“, უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტი, გენდერსა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე მომუშავე სპეციალური ჯგუფი, 2005 წ. გვ. 25

- შეიძლება უფრო მეტი პოლიტიკური ნება არსებობდეს საერთაშორისო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ახლად ჩამოყალიბებული მთავრობების მხრიდან გენდერზე რეაგირების უზრუნველმყოფი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში ინვესტირებისთვის.
- ახალი უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკების და პროცედურების ჩამოყალიბება მონიტორინგის და საბოლოო შეფასების პროცედურების განხორციელების შესაძლებლობას წარმოშობს დასაწყისიდანვე, სამიზნეების დადგენის ჩათვლით ქალების დასაქმებისთვის, ასევე გენდერის საკითხების ინტეგრაციისთვის პოლიტიკების და პროტოკოლების ფორმირებაში, საოპერაციო პროგრამირებაში, დასაქმებასა და ტრენინგში.

დამატებითი ინფორმაცია

CIDA – *გზამკვლევი გენდერისადმი სენსიტიური ინდიკატორებისადმი, 1997წ.*

ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს კლინგენდაელის ინსტიტუტი – *უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება: ინსტიტუციური შეფასების ფარგლები*, 2003წ.

თანამეგობრობის სამდივნო – ***გენდერისადმი სენსიტიური ინდიკატორების გამოყენება: სახელმძღვანელო მთავრობებისა და სხვა დაკავშირებული მხარეებისთვის***, 2005წ.

OECD DAC – ***OECD DAC*** *სახელმძღვანელო უსაფრთხოების სისტემის რეფორმისთვის: უსაფრთხოების და მართლმსაჯულების მხარდაჭერა,* 2007წ.

კიეველიცი, უვე და სხვ. – *პრაქტიკული სახელმძღვანელო მრავალმხრივი საჭიროებების შეფასებისთვის კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში,* 2004წ.

UNDP – *სახელმძღვანელო შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისთვის,*

2002წ.

UNDP/DCAF – *უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგი და გამოკვლევა*, 2007წ.

მსოფლიო ბანკი – *ბიბლიოგრაფია გენდერის მონიტორინგსა და შეფასებაზე, ასევე ინდიკატორებზე,* 2001წ.

გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. სასამართლო რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი

6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის

დანართი საერთაშორისო და რეგიონული კანონების და ინსტრუმენტების შესახებ

თითოეული ეს ინსტრუმენტი და პრაქტიკული მითითება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

www.dcaf.ch www.un-instraw.org და www.osce.org/odihr.

აღნიშნული პრაქტიკული მითითების ავტორია ნიკოლა პოპოვიჩი UNINSTRAW, იმავე ავტორის მიერ მომზადებილ №11 ინსტრუმენტის საფუძველზე.